

2015

# ბიბლიოთეკა

ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

12/28/2015



# ს ა რ ჩ ე ვ ი

## 1. მომსახურების განყოფილება

- I. ბიბლიოთეკის სერვისებზე მკითხველთა მოთხოვნა
- II. ბიბლიოთეკის დარბაზები
- III. ღონისძიებები
- IV. ილიაუნის სტუდენტების სტაჟირება ბიბლიოთეკაში
- V. პროფესიული განვითარება
- VI. შიდა პროექტები

## 2. საბიბლიოთეკო ფონდების მენეჯმენტის განყოფილება

- I. კოლექციების განვითარება და გამდიდრება
- II. საუნივერსიტეტო კოლექციის გაჩუქება
- III. კოლექციების ამოღება, შენახვა
- IV. რიდერების სტატისტიკა
- V. ელექტრონული მასალების სტატისტიკა და ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი
- VI. სამეცნიერო ბაზები
  - ❖ განხორციელებული შესყიდვები
  - ❖ ჩატარებული ტრენინგები
  - ❖ სტატისტიკური მაჩვენებლები
  - ❖ საერთაშორისო ურთიერთობები

## 3. კატალოგიზაციისა და კლასიფიკაციის განყოფილება

- I. საინფორმაციო რესურსების კლასიფიკაცია და კატალოგიზაცია
- II. ტრენინგები და სხვა საქმიანობები

## ➤ მომსახურების განყოფილება

### I. ბიბლიოთეკის სერვისებზე მკითხველთა მოთხოვნა

2015 წლის 5 იანვრიდან 22 დეკემბრის ჩათვლით, ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სხვადასხვა სერვისზე (ელექტრონული შეკვეთა; ბიბლიოთეკათმორისი შეკვეთა; შეეკითხე ბიბლიოთეკარს და სხვ.) მონაცემთა შეგროვება მიზნად ისახავდა, მკითხველის მიერ მათზე მოთხოვნის რაოდენობისა დადგენას და აქტიურად მოთხოვნილი ლიტერატურის განსაზღვრას.

#### წიგნის ელექტრონული შეკვეთა

ელექტრონული შეკვეთის სერვისზე წარმოდგენილი მონაცემი ეყრდნობა მკითხველის მიერ ელექტრონულად შევსებულ ფორმას, რომელიც აისახება ელექტრონულ ბაზის შემდეგი მონაცემებში: მკითხველის სახელი და გვარი, სტატუსი ელ. ფოსტა, ტელეფონი, წიგნის ავტორი, სათაური, შეკვეთის ადგილი (დარბაზი, საიდანაც სურს მკითხველს წიგნის გატანა).

აღნიშნულ პერიოდში ელექტრონულ შეკვეთაში შემოსულია 2451 მოთხოვნა.

2451 ელექტრონულად შემოსული შეკვეთიდან:

- ✓ 298 გაკეთებულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და თანამშრომლის მიერ.
- ✓ 2106 - სტუდენტის მიერ
- ✓ 47 - გარეშე პირის მიერ.

სერვისის შესახებ დეტალური ინფორმაცია [იხ. აქ](#)

#### სახლში სარგებლობისთვის წიგნის გაცემები:

მოცემულ პუნქტში აღნიშნული სტატისტიკა აჩვენებს სწავლის დაწყების პირველ დღეს (2015 წლის 28 სექტემბერი) რამდენი წიგნი გაიცა თითოეული დარბაზიდან:

- ✓ სულხან-საბა ორბელიანის დარბაზი: 367 ერთეული
- ✓ ილიას დარბაზი: 52 ერთეული
- ✓ ლიტ.ოთახი: 80 ერთეული

#### ბიბლიოთეკათმორისი სერვისი

ზემოთ აღნიშნულ პერიოდში ბიბლიოთეკათმორისი სერვისის ფარგლებში შემოსულია 452 შეკვეთა, აქედან,

- ✓ 381 დასახელების ეგზემპლარი მოტანილია მკითხველისთვის

- ✓ 23 წიგნი არ აღმოჩნდა არცერთი პარტნიორი ბიბლიოთეკის კოლექციაში
- ✓ 48 დასახელების ერთეული საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელუხლებელი ფონდშია, რის გამოც ვერ მოხერხდა მათით სარგებლობა.

სერვისის შესახებ დეტალური ინფორმაცია [იხ. აქ](#)

**შეკითხე ბიბლიოთეკარს - [librarian@iliauni.edu.ge](mailto:librarian@iliauni.edu.ge)**

“შეკითხე ბიბლიოთეკარს“ სერვისის ფარგლებში შემოსულია 1321 შემდეგი კატეგორიის წერილი: ლიტერატურაზე მოთხოვნა, გატანილ წიგნზე ვადის გადადება სხვადასხვა საკითხები (მაგ: ბაზებთან დაკავშირებული პრობლემები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და სხვ.)

სერვისის შესახებ დეტალური ინფორმაცია [იხ. აქ](#)

**ონლაინ შეკვეთების ამობეჭდვა**

წინასწარ, ონლაინ შეკვეთის საფუძველზე ამობეჭდვის სერვისით ისარგებლა 64-მა მკითხველმა.

სერვისის შესახებ დეტალური ინფორმაცია [იხ. აქ](#)

**II. ბიბლიოთეკის დარბაზები**

**ილიას დარბაზი**

ილიას დარბაზმა (მის: ჩოლოყაშვილის 3-5, E249) ფუნქციონირება 2015 წლის 16 მარტს დაიწყო. დარბაზის აღჭურვილობა მაქსიმალურად არის მორგებული მკითხველების საჭიროებებს და საშუალებას აძლევს მათ, იმუშაონ ინდივიდუალურად, ისარგებლონ მულტიმედია რესურსით, დაჯავშნონ ტრენინგების ოთახი, მიიღონ ბიბლიოთეკარის დახმარება სამეცნიერო სტატიების მოძიებაში და ა.შ.

აღნიშნულ დარბაზში არის როგორც სამეცნიერო, ასევე პოპულარული და შემეცნებითი ხასიათის შემდეგი მიმართულებების ლიტერატურა:

- ✓ საზოგადოებრივი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
- ✓ გამოყენებითი მეცნიერებები და მათემატიკა
- ✓ მედია, ისტორია და გეოგრაფია
- ✓ კომპიუტერული მეცნიერებები, საბიბლიოთეკო საქმე.

ილიას დარბაზში მოწყობილია ასევე, პროკრედიტ ბანკის დაფინანსებით შექმნილი კუთხე, სადაც ლიტერატურის გარდა ბიბლიოთეკის მომხმარებელს საშუალება აქვს ისარგებლოს სხვადასხვა მულტიმედიური რესურსით.

**კვლევითი დარბაზი**

კვლევითმა დარბაზმა (მის: ჩოლოყაშვილის 3-5, F104) 2015 წლის 28 სექტემბერს, მკითხველთა საჭიროებიდან გამომდინარე, შეიცვალა პროფილი და ფუნქციონირება დაიწყო როგორც ჯგუფური მუშაობის ოთახმა. აღნიშნულ დარბაზში გარდა ჯგუფურისა, შესაძლებელია ინდივიდუალური მუშაობაც, კომპიუტერებით სარგებლობა წინასწარი დაჯავშნის საფუძველზე

(კომპიუტერების დაჯავშნის სერვისის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. აქ). ამავე დარბაზში შექმნილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის ადექვატური სამუშაო გარემო.

კვლევით დარბაზში განთავსებულია შემდეგი მიმართულების ლიტერატურა:

- ✓ ფილოსოფია და ფსიქოლოგია
- ✓ თეოლოგია და რელიგია
- ✓ ენა და ლინგვისტიკა
- ✓ მხატვრული ლიტერატურა.

### **III. ღონისძიებები**

#### **1 დავით ტურაშვილი სტუმრად ილიას დარბაზში**

2015 წლის 22 აპრილს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ილიას დარბაზში (ჩოლოყაშვილის 3-5, E249), ბიბლიოთეკისა და პროკრედიტ ბანკის ინიციატივით გაიმართა მწერალ დავით ტურაშვილთან შეხვედრა.

შეხვედრა მიზნად ისახავდა თანამედროვე და კლასიკური ლიტერატურის პოპულარიზაციას.

#### **2 დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება**

2015 წლის 26 მაისს რუსთაველის გამზირზე საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ილიაუნის ბიბლიოთეკამ საზოგადოებას აქტუალურ თემატიკაზე შექმნილი ლიტერატურა წარუდგინა.

#### **3.წიგნის მე-17 საერთაშორისო ფესტივალი**

2015 წლის 28 -31 მაისს გამართულ თბილისის წიგნის XVII საერთაშორისო ფესტივალზე, ილიაუნის ბიბლიოთეკამ სტუმრებს გარდა უახლესი სამეცნიერო და კვლევითი ლიტერატურისა, საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით საკუთარი ელექტრონული რესურსებიც გააცნო.

დამთვალეიერებელს საშუალება ჰქონდა, ადგილზე, პრაქტიკაში გამოეცადა ელექტრონული ბაზების, კატალოგებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკის მოხმარების ძირითადი ინსტრუმენტები, მოეძია მისთვის საინტერესო წიგნები და პერიოდული გამოცემები, მიეღო ინფორმაცია ბიბლიოთეკის სერვისები შესახებ და ა.შ.

#### **4. მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული**

2015 წლის 10-17 ნოემბერს გამართულ „მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეულში“ ილიაუნის ბიბლიოთეკამ უახლესი სამეცნიერო და კვლევითი ლიტერატურა გააცნო აუდიტორიას. აღნიშნული რესურსი რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით შეირჩა (ახალი გამოცემა, სანდო წყარო და უახლესი აღმოჩენები) და მიზნად ისახავდა თანამედროვე სამეცნიერო გამოცემების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას.

#### 4. თბილისის წიგნის დღეები

2015 წლის 26-29 ნოემბერს გამართულ „თბილისის წიგნის დღეების“ ფარგლებში, ილიაუნის ბიბლიოთეკამ დამთვალიერებელს პოლიტიკური მეცნიერებების, ისტორიის, ბიოლოგიისა და არქიტექტურის მიმართულების მქონე უახლესი ლიტერატურა გააცნო.

#### 5. ლევან გიგინეიშვილის საჯარო ლექცია

2015 წლის 18 დეკემბერს 2015 წლის 22 აპრილს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ილიას დარბაზში (ჩოლოყაშვილის 3-5, E249), ბიბლიოთეკისა და პროკრედიტ ბანკის ინიციატივით გამართა ფილოლოგ ლევან გიგინეიშვილის საჯარო ლექცია.

ლექციის თემას წარმოადგენდა: „მორალის კლასიკური და მოდერნული თეორიები და ცხოვრებისეული დილემები“ და მიზნად ისახავდა აღნიშნულ საკითხზე მსჯელობას.

### **IV. ილიაუნის სტუდენტების სტაჟირება ბიბლიოთეკაში.**

#### 1. კონკურსი

2015 წლის 5 თებერვალს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ინიციატივით გამოცხადდა ღია კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავდა ამავე უნივერსიტეტის სტუდენტების 6 თვიან ანაზღაურებად სტაჟირებას ბიბლიოთეკის მომსახურებისა და ფონდების განყოფილებაში. კონკურსის სამ ძირითად ეტაპს მოიცავდა:

- ✓ I ეტაპი - კონკურსში მონაწილეობის მსურველი კანდიდატების მიერ დოკუმენტების წარმოდგენა (CV, მოტივაციის წერილი); დოკუმენტების გადარჩევა და მეორე, ტესტირების ეტაპზე გადასული კანდიდატების ნუსხის შედგენა;
- ✓ II ეტაპი - ტესტირების (სიტუაციური ამოცანები) ჩატარება; ტესტების გასწორება; მესამე გასაუბრების ეტაპზე გასული კანდიდატების ნუსხის შედგენა;
- ✓ III ეტაპი - გასაუბრება, გასაუბრების შედეგების მიხედვით კანდიდატთა საბოლოო ნუსხის შედგენა;

კონკურსის შედეგად 114 კონკურსანტიდან შეირჩა რვა კანდიდატი.

#### 2. სტაჟირება

2015 წელს 1 მარტიდან 1 სექტემბრის ჩათვლით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ანაზღაურებადი სტაჟირება გაიარა 8 სტუდენტმა, აქედან ექვსმა მომსახურების, ორმა კი ფონდების განყოფილებაში.

სტაჟირება მიზნად ისახავს:

- ✓ სტუდენტების ჩართულობას საბიბლიოთეკო საქმიანობაში;
- ✓ ბიბლიოთეკის შიდა სამუშაოების სპეციფიკის გაცნობასა და მასში მონაწილეობის მიღებას;

- ✓ გუნდურობის, ურთიერთთანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობას.

მომსახურების განყოფილებაში სტუდენტების მიერ შესასრულებელ ძირითად საქმიანობებს წარმოადგენს:

- ✓ საბიბლიოთეკო მომსახურების უზრუნველყოფა მკითხველის ინდივიდუალური ინფორმაციული საჭიროებებიდან გამომდინარე;
- ✓ მკითხველისთვის კეთილგანწყობილი და სამუშაო ატმოსფეროს შექმნა;
- ✓ ბიბლიოთეკის მკითხველის საინფორმაციო რესურსების მოძიებაში კონსულტირება და დახმარების გაწევა;
- ✓ მკითხველისთვის სასურველი მასალის მოძიების ალტერნატიული გზებისა და საშუალებების შეთავაზება;
- ✓ სხვა მიმდინარე პროექტებში ჩართვა

ფონდების განყოფილებაში სტუდენტების მიერ შესასრულებელ ძირითად საქმიანობებს წარმოადგენს:

- ✓ ელექტრონულ ბაზებთან მუშაობა.
- ✓ სასწავლო კურსების სილაბუსების დამუშავება
- ✓ ინფორმაციის მოძიება ახალი რესურსის შესახებ
- ✓ საუნივერსიტეტო საზოგადოების ინფორმირება სასწავლო და კვლევითი რესურსების შემენის ძირითადი წესებისა და პროცედურების შესახებ
- ✓ უნივერსიტეტის საზოგადოების ინფორმირებულობა ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების შესახებ
- ✓ სამეცნიერო ელ. ბაზების გაიდების თარგმნა/რედაქტირება
- ✓ სხვა მიმდინარე პროექტებში ჩართვა

სტაჟირების პროცესი განხორციელდა სამ ეტაპად: I. საინფორმაციო შეხვედრა; II. ტრენინგები ბიბლიოთეკის ძირითადი საქმიანობის შესახებ; III. ბიბლიოთეკის მომსახურებისა და ფონდების განყოფილების სამუშაო პროცესში ჩართვა.

## V. პროფესიული განვითარება

### ტრენინგები

ტრენინგები, რომლებიც 2015 წელს, სტაჟიორებს ჩაუტარდა ბიბლიოთეკის საქმიანობის ექვს სხვადასხვა მიმართულებას მოიცავდა: 1. ბიბლიოთეკის სერვისები 2. ელექტრონული კატალოგი - <http://iliauni.library.ac.ge/eg/opac/home> 3. ელექტრონული ბიბლიოთეკა - <http://library.iliauni.edu.ge/ilib/> 4. ეფექტური კომუნიკაცია და მომსახურება 5. საბიბლიოთეკო კლასიფიკაციები; 6. ელექტრონული სამეცნიერო ბაზები.



### 1. ბიბლიოთეკის სერვისები

ტრენინგი მიზნად ისახავდა, ილიაუნის ბიბლიოთეკის სერვისებისა და სარგებლობის წესების გაცნობას.

ტრენინგზე განხილული იყო შემდეგი საკითხები: ბიბლიოთეკის დარბაზები და სამუშაო განრიგი; წიგნის ელექტრონული შეკვეთა; ბიბლიოთეკათმორისი მომსახურება; დაჯავშნის სერვისი; შეკითხვა ბიბლიოთეკარს; ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და პროცედურები.

### 2. ელექტრონული კატალოგი

ტრენინგი მიზნად ისახავდა ელექტრონული კატალოგის სპეციფიკისა და მოხმარების წესების გაცნობას, მისი პრაქტიკაში გამოყენებას.

ტრენინგზე განხილული იყო შემდეგი საკითხები: ელექტრონული კატალოგის დანიშნულება; მარტივი და დეტალური საძიებელი ინსტრუმენტები, კატალოგიდან მიღებული ინფორმაციით ღია დაშვების ბიბლიოთეკაში ძიების უნარ-ჩვევები (პრაქტიკული სავარჯიშოები)

### 3. ილიაუნის ელექტრონული ბიბლიოთეკა

ტრენინგი მიზნად ისახავდა მონაწილეთა ინფორმირებას ილიაუნის ელექტრონული ბიბლიოთეკის შესახებ და მასში განთავსებული ინფორმაციისა ძიება-გამოყენებას პრაქტიკაში

ტრენინგზე განხილული იყო შემდეგი საკითხები: ელექტრონული წიგნები; საკითხავები („რიდერები“; ელექტრონულ რესურსზე წვდომა, ინფორმაციის ძიება ელ. სავაჭვებში.

### 4. ეფექტური კომუნიკაცია და მომსახურება

ტრენინგი მიზნად ისახავდა ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობის გააზრებას საბიბლიოთეკო მომსახურების სფეროში.

ტრენინგზე განხილული იყო შემდეგი საკითხები: ეფექტური კომუნიკაციის საფუძვლები; კომუნიკაციის დამოკიდებულებითი საფუძვლები; მომხმარებლის დაკარგვის სამი კატეგორია; მომსახურების სფეროში დასაქმებული ადამიანების კომპეტენციები.

### 5. საბიბლიოთეკო კლასიფიკაციები

ტრენინგი მიზნად ისახავდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოყენებული საბიბლიოთეკო კლასიფიკაციების გაცნობას წიგნების გადარჩევა-დახარისხებისა და კლასიფიკაციის მიხედვით დალაგების მიზნით.

ტრენინგზე განხილული იყო შემდეგი საკითხები: კლასიფიკაციის არსი და ფუნქციები; კლასიფიკაციის სახეები და მათი უპირატესობები; დიუის ათწილადი კლასიფიკაცია

### 6. ელექტრონული სამეცნიერო ბაზები

ტრენინგი მიზნად ისახავდა მონაწილეთა ინფორმირებას ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული ბაზების შესახებ; სამეცნიერო ელექტრონული ბაზების საძიებო ინსტრუმენტების ათვისებასა და პრაქტიკაში გამოყენებას.

## VI. შიდა პროექტები

### 1. ფონდების ანოტირება

პროექტის მიზანია, ილიაუნის ფონდის ანოტირების გზით, ხელი შეეწყოს ბიბლიოთეკაში დაცული ნაბეჭდი და ციფრული რესურსების იმგვარად აღწერას, რომ მკითხველს



სრული წარმოდგენა შეექმნას ნაშრომის ავტორზე, შინაარსზე, ძირითად დანიშნულებასა და მნიშვნელობაზე.

პროექტი 2014 წლის 24 ნოემბერს დაიწყო და ბიბლიოთეკის სერვისებისა და კატალოგიზაციის განყოფილების ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს. ამ ეტაპზე მომსახურების განყოფილების თანამშრომლების მიერ მომზადებული **244** ქართულენოვანი რესურსის ანოტირებული ჩანაწერია ელექტრონულ კატალოგში.

პროექტის ფარგლებში:

- შემუშავდა ანოტაციის გზამკვლევი;
- პროფესიული განვითარების მიზნით აღნიშნულ საკითხზე ჩატარდა ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები;
- მომზადდა ანოტაციის საცდელი ვერსიები და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები;
- ელექტრონულ კატალოგში არსებულ ჩანაწერებს დაემატა ანოტაციები.

## **2. ავტორეფერატების გაციფრება**

ილიაუნის ბიბლიოთეკაში დაცულია 1960 წლიდან 2006 წლის ჩათვლით ბეჭდური ფორმატის ავტორეფერატების 6892 ეგზეპლარი, რომელთაგან 1616 – ქართულ ენაზეა, 5265 – რუსულ ენაზე, 10 ცალი აზერბაჯანულ ენაზე და 1 ცალი ინგლისურ ენაზე.

მათი ძირითადი ნაწილი პედაგოგიური მიმართულებისაა, ნაწილი კი, სხვადასხვა სამეცნიერო სფეროს მოიცავს.

პროექტის მიზანია, ავტორეფერატების გაციფრების საშუალებით ხელი შეეწყოს,

- ციფრულ ფორმატში მათ დაცვა-შენახვას;
- საქართველოს კანონის – „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ გათვალისწინების საფუძველზე, სამეცნიერო და კვლევითი მიზნებით მათზე წვდომას.

პროექტის ფარგლებში, 6892 ერთეული ავტორეფერატებიდან წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით გასაციფრებლად შეირჩა ის ნაშრომები, რომლებიც შემდეგ კატეგორიას მოიცავდა:

- საქართველოში გამოცემული ავტორეფერატები;
- საბჭოთა კავშირში გამოცემული ქართველი ავტორების ავტორეფერატები;
- საქართველოს შესახებ გამოცემული ავტორეფერატები;
- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ინსტიტუტში დაცული ნაშრომები

ამ ეტაპზე გაციფრებულია და საქართველოს კანონის – „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ <http://eprints.iliauni.edu.ge/> - ზე ატვირთულია **211 ავტორეფერატი**

## **3. შრომების გაციფრება**

ილიაუნის ბიბლიოთეკაში დაცულია 1941 წლიდან 2006 წლის ჩათვლით ის პერიოდული გამოცემებები, რომლებიც ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სახელს უკავშირდება და მოიცავს მათემატიკის, ენათმეცნიერების, ბიოლოგიის, ფსიქოლოგიის, ისტორიისა და პედაგოგიკის მიმართულებას.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ, როგორც ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სამართალმემკვიდრემ, აღნიშნული შრომებისა და პერიოდული გამოცემების გაციფრების პროექტი დაიწყო 2015 წელს.

პროექტის დასაწყისში გასაციფრებლად შეირჩა შრომების ის კრებულები, რომელებიც ელექტრონულ კატალოგში არ იყო აღწერილი .

ამ ეტაპისთვის გაციფრებულია **47** დასახელების სამეცნიერო შრომათა კრებული.

#### **4. წიგნი სარჩევები**

ბიბლიოთეკის მომსახურების განყოფილებამ 2015 წლის 3 აგვისტოდან დაიწყო ფონდში დაცული ლიტერატურის სარჩევების ელექტრონულ კატალოგში დასამატებლად მომზადება. აღნიშნული პროცესი მიზნად ისახავდა, მკითხველისთვის სასურველი თემატიკის უფრო მოქნილ და მიზანმიმართულ ძიების ხელშეწყობას.

ამ ეტაპისთვის მომზადებულია **1089** დასახელების მქონე წიგნის სარჩევი.

## ➤ კატალოგიზაციისა და კლასიფიკაციის განყოფილება

### **I. საინფორმაციო რესურსების კლასიფიკაცია და კატალოგიზაცია**

წლის განმავლობაში კატალოგიზაციისა და კლასიფიკაციის განყოფილება (კვგ) აგრძელებდა ბიბლიოთეკის ფონდების რეინვენტარიზაციას, რის ფარგლებშიც დიუის ათწილადი კლასიფიკაცია და ახალი 12-ნიშნა საინვენტარო ნომერი მიენიჭა და შესაბამისად, ელკატალოგში აისახა 1679 რეინვენტირებული წიგნი.

ამასთან, სრული საბიბლიოთეკო დამუშავება ჩაუტარდა 1558 ნაჩუქარ, სტამბის მეორე გადმოცემულ 172, უნივერსიტეტის მიერ საკუთარი ბიუჯეტით ან გრანტების ფარგლებში შესყიდულ 975 წიგნსა და რიდერს. მათ შორის იყო ტემპუსის პროექტის „ადამიანური რესურსებისა და ექსპერტთა შესაძლებლობების განვითარება ადიქტოლოგიის სფეროში ქართული უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამების და უწყვეტი განათლების მეშვეობით“ ფარგლებში შეძენილი 115 წიგნადი ერთეული.

გაკეთდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2010-2015 წლებში დაცული დისერტაციების რეესტრი და შეიქმნა თითოეული დისერტაციის შესახებ საკატალოგო ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი ბმულით დისერტაციის სრულ ტექსტზე (სულ 72 დისერტაცია).

წლის განმავლობაში ელკატალოგს დაემატა ასევე:

- 197 რეინვენტარიზებული და ახალი პერიოდული გამოცემა
- 7 დისერტაცია - სხვადასხვა უნივერსიტეტში დაცული
- 13 სანოტო ერთეული
- 91 ელექტრონული წიგნი
- 426 ფირფიტა

2015 წელს ილიაუნის ბიბლიოთეკის ელკატალოგში შეიქმნა და რედაქტირდა სულ 10 713 ჩანაწერი. რედაქტირების პროცესი მოიცავს როგორც ჩანაწერების ორთოგრაფიულ ჩასწორებას, ისე სარჩევების, ანოტაციების, აბსტრაქტების და საგნობრივი/თემატური სიტყვებისა თუ ფრაზების დამატებას.

## II. ტრენინგები და სხვა საქმიანობები

ბიბლიოთეკის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად, კატალოგიზაციისა და კლასიფიკაციის განყოფილება მონაწილეობდა დარბაზების მიგრაციისა და რელოკაციის, ისევე როგორც მორალურად და ფიზიკურად მოძველებული ლიტერატურის გადარჩევის პროცესებში.

წლის განმავლობაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ბიბლიოთეკების საინვენტარო ჟურნალების ელექტრონიზაციის პროექტი უწყვეტად მიმდინარეობდა.

2014 წელს RDA ახალი სტანდარტების დანერგვის შემდეგ მუდმივად საჭიროა სხვა საინფორმაციო მედიების კატალოგირების წესების განხილვა და დანერგვა. მუსიკალური ჩანაწერების სტანდარტის გარჩევის შემდეგ განყოფილების ყველა თანამშრომელს ჩაუტარდა შესაბამისი ტრენინგი, რის შემდეგაც ელკატალოგში შეიქმნა 426 საბიბლიოთეკო ჩანაწერი მუსიკალური ფირფიტის შესახებ. მოგვიანებით ისინი განთავსდა ფირსაკრავით და სხვა შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილ ილიას დარბაზში.

ოქტომბერში კატალოგიზაციისა და კლასიფიკაციის ყველა თანამშრომელს ჰქონდა შესაძლებლობა, დასწრებოდა ტრენინგს ანოტაციების მომზადების შესახებ, რომელიც განხორციელდა ბიბლიოთეკაში შემუშავებული ინსტრუქციის მიხედვით, რის შემდეგაც კატალოგში ასახულ ყველა საინფორმაციო რესურსს ემატება ანოტაცია.

# ➤ საბიბლიოთეკო ფონდების მენეჯმენტის განყოფილება

## I. კოლექციების განვითარება და გამდიდრება

### ❖ საინფორმაციო რესურსის შესყიდვა

2015 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკამ საინფორმაციო რესურსის გამდიდრების მიზნით სხვადასხვა ტიპის შესყიდვა განახორციელა. ბიბლიოთეკამ წიგნების არჩევისას იხელმძღვანელა უნივერსიტეტის ფაკულტეტების ხელმძღვანელებისა და პროფესორ-მასწავლებლების წარდგინებისა და სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე სასწავლო და კვლევითი ლიტერატურის საჭიროებიდან გამომდინარე. დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა როგორც ბიბლიოთეკის, ასევე ცალკეული ფაკულტეტის/ სკოლის, უნივერსიტეტის ინსტიტუტების/ ცენტრების ბიუჯეტი, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში გამოყოფილი ფულადი ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტები.

### 1.1. გრანტი

2015 წელს ბიბლიოთეკამ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისგან მიღებული 12 გრანტის ფარგლებში შეისყიდა **236 დასახელების 335 ერთეული** საინფორმაციო რესურსი, რომელთა ღირებულება შეადგენს **44200.34** ლარს.

**გრანტების საერთო ღირებულება შეადგენს: 44200.34 ლარს.**

### 1.2. სუბსიდია

სასწავლო და კვლევითი პროცესისთვის საინფორმაციო რესურსის შესყიდვის მიზნით უნივერსიტეტის სუბსიდიის ფარგლებში 2015 წელს გამოიყო 5351 ლარის ოდენობის თანხა, რის საფუძველზეც ბიბლიოთეკამ შეიძინა 55 დასახელების წიგნი.

**სუბსიდიის საერთო ღირებულება შეადგენს: 5351 ლარს.**

### 1.3. ბიუჯეტი

უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფარგლებში 2015 წელს ბიბლიოთეკამ შეისყიდა 166 დასახელების 435 ერთეული 14506.94 ლარის ღირებულების წიგნი.

ბიუჯეტის საერთო ღირებულება შეადგენს: 14506.94 ლარს.

2015 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკამ შეისყიდა 64059 ლარის ღირებულების წიგნები.

### 1.4. პრესა

პროფესორ-მასწავლებლებისა და ბიბლიოთეკარების წარდგინების საფუძველზე ბიბლიოთეკამ 2015 წელს შპს „საქართველოს ფოსტასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად გამოიწერა 8 დასახელების ჟურნალ-გაზეთი. პრესის შესყიდვის ანგარიშსწორება ხორციელდება ნაწილ-ნაწილ 3 ტრანშად გადაირიცხა 893 ლარის ოდენობის თანხა<sup>1</sup>.

ერთი წლის განმავლობაში პრესის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 1100 ლარს.

#### ❖ ნაჩუქარი საინფორმაციო რესურსი

2015 წლის განმავლობაში სხვადასხვა დონორისგან ბიბლიოთეკამ საჩუქრად მიიღო 1558 ერთეული საინფორმაციო რესურსი.

### II. საუნივერსიტეტო კოლექციის გაჩუქება

2015 წელს ბიბლიოთეკამ უნივერსიტეტის გამომცემლობის გამოცემებისა და საკუთარ ფონდში არსებული გასაჩუქებელი ეგზემპლარების ხარჯზე გაუწია დონორობა შემდეგ ორგანიზაციებს წიგნადი ფონდის გამდიდრებაში:

- ფონდი ღია საზოგადოება საქართველო - 5.4 ლარის ღირებულების 3 ერთეული;

### III. კოლექციების ამოღება, შენახვა

სულხან-საბა ორბელიანის დარბაზის ფონდი

---

<sup>1</sup> მეოთხე ტრანშის გადახდა უნდა მოხდეს 2015 წლის 30 დეკემბერს, რის გამოც ამ ინფორმაციის ასახვა ვერ მოხდა აღნიშნულ ანგარიშში.

როგორც ყველა ცოცხალი ბიბლიოთეკა, ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაც ორიენტირებულია ფონდის განახლებასა და განვითარებაზე. ამისთვის აუცილებელია პერიოდულად როგორც ახალი წიგნების შეძენა, ასევე ფონდის გათავისუფლება დაზიანებული, მორალურად მოძველებული და სასწავლო ან კვლევითი პროცესისთვის შეუსაბამო ლიტერატურისგან. 2015 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა იმუშავა სულხან საბა ორბელიანის დარბაზის ფონდის გამოხშირვისა და საინფორმაციო რესურსის ჩამოწერის მიზნით.

#### IV. რიდერების სტატისტიკა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების მოთხოვნის შესაბამისად 2015 წლის მანძილზე სხვადასხვა საფეხურის სასწავლო კურსებისთვის დამზადდა შემდეგი რაოდენობის რიდერი:

- ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისთვის - 93 კურსის რიდერი
- მაგისტრატურის სტუდენტებისთვის - 68 კურსის რიდერი
- დოქტორანტურის სტუდენტებისთვის - 8 კურსის რიდერი

რიდერები დამზადდა ბეჭდური და ელექტრონული ვერსიების სახით, რომელთაგან ეს უკანასკნელნი განთავსდა ელექტრონული ბიბლიოთეკის ვებ-სივრცეში (რიდერების ვებ-გვერდზე).

**2015 წლის განმავლობაში საერთო ჯამში დამზადდა 167 კურსის რიდერი (163 რიდერი ელექტრონულად, 4 რიდერი (8 ეგზემპლარი) ელექტრონულადაც და ბეჭდურადაც).**

რიდერების დასამზადებლად ჯამში გამოყენებულ იქნა **507 მასალა**, რომელთაგან **238** ელექტრონული სახით (pdf, word) მოგვაწოდეს, ხოლო **269** - ბეჭდური. სასწავლო მასალებიდან გამოყენებული **43 456 გვერდიდან** დასკანერდა და დამუშავდა **22 839 გვერდი**, ხოლო **20 617 გვერდი** იყო ელექტრონული მასალა. ბეჭდურად დამზადებული რიდერების ფურცლების რაოდენობამ შეადგინა **871**.



საერთო სტატისტიკა

რიდერების რაოდენობა (კურსების მიხედვით)	გამოყენებული მასალის რაოდენობა	დასკანერებული და დამუშავებული გვერდების რაოდენობა
169	507 (238 ელექტრონული, 269 ბეჭდური)	43 456 (ბეჭდური მასალიდან 22 833 გვერდი, ელექტრონული მასალიდან 20 617 გვერდი)

გაზაფხულის სემესტრი

რიდერების რაოდენობა (კურსების მიხედვით)	დამუშავებული მასალის რაოდენობა
28	92 ( 34 ელექტრონული, 58 ბეჭდური)

შემოდგომის სემესტრი

რიდერების რაოდენობა (კურსების მიხედვით)	დამუშავებული მასალის რაოდენობა
141	415 (204 ელექტრონული, 211 ბეჭდური)

## V. ელექტრონული მასალების სტატისტიკა და ბიბლიოთეკის ვებ-სივრცე

სერვისების გაუმჯობესების მიზნით ბიბლიოთეკის ერთ-ერთი პრიორიტეტია ვებ-სივრცეში ცნობადობის გაზრდა და ელექტრონულ მასალებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. **2015 წელს გაეშვა ბიბლიოთეკის ახალი ვებ-გვერდი**, რომელიც უფრო მეტად მოქნილი, დახვეწილი და მომხმარებლისთვის ადვილად გამოსაყენებელია. საიტის დამზადება ბიბლიოთეკასთან ერთად უზრუნველყო ილიაუნის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა 2015 წლის მდგომარეობით მოიცავს შემდეგ რესურსებს:

- ელექტრონული წიგნი - **91** ერთეული (ანოტაციებითურთ)
- ელექტრონული ჟურნალ-გაზეთები - **7** დასახელების **142** ნომერი

საჯარო ბიბლიოთეკასთან ერთად განხორციელებული პროექტის შედეგად საიტს დაემატა **ქართული ლიტერატურის 96 ელექტრონული წიგნი**, რომლებიც ხელმისაწვდომია **PDF, Mobi** და **ePub** ფორმატებში.

ყოველთვიურად საიტს ემატება ახლად შესყიდული წიგნების მონაცემები (ფოტო და აღწერილობა). საერთო ჯამში ბიბლიოთეკის საიტზე განთავსებულია **3 866** ელ.რესურსი. მათ შორის:

- 1 877 - jpg
- 53 - აუდიო
- 1 936 – word, png, pdf, mobi, e-pub

ბიბლიოთეკა სოციალური ქსელის საშუალებითაც ახდენს მკითხველთა დახმარებას და ინფორმირებას. 2015 წლის 25 დეკემბრის მონაცემებით ჩვენ ფეისბუქ-გვერდს **9 229** მოწონება აქვს.

---

## VI. სამეცნიერო ელექტრონული ბაზები

---

### ❖ განხორციელებული შესყიდვები

2015 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკა უზრუნველყოფდა წვდომას შემდეგ ელექტრონულ ბაზებზე:

- ✓ EBSCO
- ✓ Political Science Complete (Ebscohost)
- ✓ Humanities Source (Ebscohost)
- ✓ JSTOR
- ✓ Encyclopaedia Britannica
- ✓ Cambridge University Press Journals
- ✓ Project Muse
- ✓ Oxford University Press Journals
- ✓ Science Direct
- ✓ Scopus
- ✓ Web of Science (Thomson Reuters)
- ✓ Journal Citation Report (Thomson Routers)
- ✓ ProQuest
- ✓ IMF Elibrary
- ✓ DOAJ
- ✓ The New England Journal of Medicine
- ✓ BioOne
- ✓ Royal Society Journals Collection
- ✓ Hinari
- ✓ Journal of Autism and Development Disorders

აღნიშნული რესურსების შეძენისათვის ბიბლიოთეკამ 2015 წელს გააფორმა ხელშეკრულებები: ა) საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან, რომელიც საერთაშორისო საბიბლიოთეკო კონსორციუმების წევრობის გამო ფლობს ბაზების ლიცენზირების უზრუნველყოფის ექსკლუზიურ უფლებას საქართველოში და სარგებლობს მნიშვნელოვანი ფასდაკლებებით. ბ) უშუალოდ სამეცნიერო ელექტრონული ბაზების მომწოდებლებთან.

მიმდინარე წელსვე, წინმსწრებად გაფორმდა ხელშეკრულებები 2016 წლის წვდომის უფლების მოპოვებისთვის შემდეგი დასახელების ელექტრონული ბაზებისთვის:

- ✓ JSTOR
- ✓ Web Of Science (Thomson Reuters)

2015 წლის განმავლობაში, საცდელ რეჟიმში, ჩართული იყო შემდეგი ელექტრონული ბაზები:

- Sage Knowledge
- Palgrave Macmillan Journals/Ebooks
- Nature Publishing Group
- Legal Source (Ebscohost)
- Education Source (Ebscohost)
- Applied Science and Technology Source (Ebscohost)

**2015 წელს ბიბლიოთეკამ საერთო ჯამში შეიძინა 92 256 ლარის, 1586 ევროს და 6115 აშშ დოლარის ღირებულების სამეცნიერო ელექტრონული ბაზები.**

#### ❖ ჩატარებული ტრენინგები

ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული ბაზების შესახებ საუნივერსიტეტო საზოგადოების ინფორმირებისა და აგრეთვე ამ ბაზებში მკითხველისათვის სასურველი მასალის მოძიების უნარების გამომუშავების მიზნით, წლის განმავლობაში ჩატარდა 12 ტრენინგი სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიისათვის. ტრენინგის მსვლელობისას მსმენელებს საშუალება ჰქონდათ ერთი მხრივ მოესმინათ ინფორმაცია, ხოლო მეორე მხრივ პრაქტიკული სამუშაოს საშუალებით გაცნობოდნენ ელექტრონული რესურსების საძიებო ინსტრუმენტებს.

2015 წელს, გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრების დაწყების წინ ჩატარდა ტრენერთა ტრენინგები საბაკალავრო საფეხურის სავალდებულო საგნის „კვლევითი მუშაობის ტექნიკები“ მასწავლებლებისთვის. ტრენინგში მონაწილეობის შემდეგ, ყველა მასწავლებელი ინფორმირებული იყო სამეცნიერო ბაზების შესახებ. მათ, თავის მხრივ, სალექციო კურსის ფარგლებში ბაკალავრიატის პირველი წლის სტუდენტებს განუვითარეს სამეცნიერო ბაზებში ეფექტურად მუშაობის უნარები.

მიმდინარე წელს ბიბლიოთეკის ორგანიზებით გაიმართა საინფორმაციო სახის ვორკშოპები, რომლებსაც უშუალოდ ელექტრონული ბაზის რეგიონალური კოორდინატორები და ტრენერები უძღვებოდნენ:

- ✓ Elsevier-How to Write World Class Paper / როგორ დავწეროთ მარალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომი
- ✓ Thomson Reuters – Information Tools for a Modern scholar: The Web of science and Related Resources / საინფორმაციო რესურსები თანამედროვე მკვლევარებისთვის

#### ❖ სტატისტიკური მაჩვენებლები

ელექტრონული ბაზების შესყიდვისათვის ყოველწლიურად დამტკიცებული ბიუჯეტის მიზნობრივი გახარჯვისათვის, ბიბლიოთეკა აწარმოებს მომხმარებელთა სტატისტიკური მონაცემების მონიტორინგს. დაკვირვებაზე დაფუძნებული შესყიდვა საშუალებას იძლევა თავიდან ავირიდოთ საუნივერსიტეტო საზოგადოებისათვის ნაკლებად საჭირო და არააქტუალური ელექტრონული რესურსების შესყიდვა.

სტატისტიკური მონაცემების კონტროლისათვის ბიბლიოთეკას თითოეულ ბაზასთან შეთანხმებით შექმნილი აქვს თავისი ადმინისტრატორის გვერდი, რომლის საშუალებითაც ამოწმებს, ერთი მხრივ ბაზის სტატუსს (ჩართულია, გამორთულია თუ შეზღუდულია წვდომა), ხოლო მეორე მხრივ, მომხმარებელთა ყოველთვიურ აქტიურობას. ამის საფუძველზე შემუშავდება მომხმარებელთა წლიური სტატისტიკური მონაცემები და ხდება მათი შედარება წინა წლის მონაცემებთან (იხ. დანართი 1).

2015 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოება ბიბლიოთეკამ უზრუნველყო სხვადასხვა დასახელების 19 სამეცნიერო ელექტრონული ბაზაზე წვდომით. საერთო ჯამში,

ელექტრონულ ბაზებზე წვდომისთვის 272 089-ჯერ შესვლა<sup>2</sup> დაფიქსირდა (დეტალურად იხ. დანართი #1).

#### ❖ საერთაშორისო ურთიერთობები

ბიბლიოთეკა აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და საბიბლიოთეკო კონსორციუმში შემავალ საქართველოს სხვა ბიბლიოთეკებთან სხვადასხვა სფეროში, მათ შორის ელექტრონული ბაზების თანადაფინანსებით შესყიდვის კუთხით, სხვადასხვა საბიბლიოთეკო ღონისძიებების ორგანიზების და დაგეგმვის მიზნით. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წარმომადგენლები რეგულარულად მონაწილეობენ კონსორციუმის შეხვედრებში მომხსენებლებისა და მონაწილეების სტატუსით.

მიმდინარე წელს, ბიბლიოთეკაში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ შემდეგი სამეცნიერო ბაზების წარმომადგენლები: Springer, EBSCO, Elsevier, Thomson Reuters. ისინი ადგილზე გაეცნენ არსებულ მდგომარეობას, განიხილეს მიმდინარე გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები.

2015 წლის 19-20 დეკემბერს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ინიციატივითა და საქართველოში ამერიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკების წარმომადგენლები.

შეხვედრის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების კონტექსტში საავტორო უფლებების დაცვის საკითხი განხილვა, საერთო გამოწვევების იდენტიფიცირება. აღნიშნულ თემაზე სასაუბროდ მოწვეული იყო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის, იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი მანანა ფრუიძე.

2015 წლის აგვისტო-სექტემბერში ფონდების მენეჯმენტის განყოფილების თანამშრომლები Erasmus Mundus-ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ლინშოპინგის უნივერსიტეტის (შვედეთი) და ტუმას უნივერსიტეტის (იტალია)

---

<sup>2</sup> მონაცემები მოიცავს 2015 წლის იანვარი-ოქტომბრის ჩათვლით არსებულ ინფორმაციას, სრული წლის სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომი გახდება 2016 წლის იანვრის მეორე ნახევარში.



ბიბლიოთეკებში. აღნიშნული პროგრამის მიზანი იყო კონტაქტების დამყარება, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, ერთობლივ პროექტებზე მუშაობის შესაძლებლობების განხილვა.

დანართი #1

## სამეცნიერო ელექტრონული ბაზები


---

მომხმარებელთა სტატისტიკის შედარებითი ანალიზი


ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიბლიოთეკა

თბილისი  
2015

Thomson Reuters (WOS) გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები 2014-2015<sup>3</sup>




Thomson Reuters (WOS) გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები 2013-2015<sup>4</sup>




ProQuest გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები 2014-2015

<sup>3</sup> ამ ეტაპზე ხელმისაწვდომია მიმდინარე წლის სტატისტიკური მონაცემები მხოლოდ ოქტომბრის ჩათვლით, რაც შედარებულია გასული წლის იმავე თვეების მაჩვენებლებთან.

<sup>4</sup> 2015 წლის მონაცემები არ მოიცავს ნოემბერი-დეკემბრის მაჩვენებლებს.




ProQuest გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები 2013-2015<sup>5</sup>




Oxford Journals გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები 2014-2015

<sup>5</sup> 2015 წლის მონაცემები არ მოიცავს დეკემბრის მაჩვენებლებს.




Oxford Journals გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები 2014-2015<sup>6</sup>




EBSCO გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები 2014-2015

<sup>6</sup> 2015 წლის მონაცემები არ მოიცავს ნოემბერი-დეკემბრის მაჩვენებლებს.




EBSCO გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები 2013-2015<sup>7</sup>




Humanities Source გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები 2014-2015<sup>8</sup>

<sup>7</sup> 2015 წლის მონაცემები არ მოიცავს დეკემბრის მაჩვენებლებს.

<sup>8</sup> აღნიშნულ ორ ბაზაზე წვდომა გვაქვს 2014 წლის მარტიდან, შესაბამისად მონაცემები მოიცავს 2015 წლის იმავე პერიოდს.




Political Science Complete გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები 2014-2015




Cambridge Journals გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები 2014-2015






Cambridge Journals გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები 2013-2015<sup>9</sup>




Project Muse გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები 2014-2015

<sup>9</sup> 2015 წლის მონაცემები არ მოიცავს ნოემბერი-დეკემბრის მაჩვენებლებს.




Project Muse გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები 2013-2015<sup>10</sup>




Encyclopedia Britannica გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები 2014-2015

<sup>10</sup> 2015 წლის მონაცემები არ მოიცავს ნოემბერი-დეკემბრის მაჩვენებლებს.





Encyclopedia Britannica გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები 2013-2015<sup>11</sup>



Science Direct გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები 2014-2015

<sup>11</sup> 2015 წლის მონაცემები არ მოიცავს დეკემბრის მაჩვენებლებს.



Scopus გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები 2014-2015

